„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შეძელო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №7 (296) 28 ივლისი 2020 წელი; ფასი 1 ლ.

პარლამენტში ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ყოველმხრივ განათლებული პროფესიონალები

90 დღე საპარლამენტო არჩევნებამდე

29 მამაკაცი და 1 ქალი - ესენი იბრძოლებენ "ქართული ოცნების" სახელით მაჟორიტარული მანდატებისთვის

1. დავით სერგიენკო - (საბურთალო)
2. ნოდარ ტურძელაძე - (ვაკე)
3. ლევან კობიაშვილი - (გლდანი)
4. სოზარ სუბარი - (სამგორი)
5. კახა კახიაშვილი - (ისანი)
6. ბექა ოდიშარია - (მთაწმინდა-კრწანისი)
7. მიხეილ ყაველაშვილი - (ნაძალადევი)
8. გია ვოლსკი - (დიდუბე-ჩუღურეთი)
9. შალვა კერესელიძე - (მცხეთა-დუშეთი-თიანეთი-ყაზბეგი)
10. ირაკლი ქადაგიშვილი - (თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხი)
11. დავით სონღულაშვილი - (გურჯაანი-საგარეჯო-სიღნაღი-დედოფ ლისწყარო)
12. ნინო ლაცაბიძე - (რუსთავი)
13. ზაურ დარგალი - (მარნეული-გარდაბანი)
14. გოგი მეშველიანი - (ბოლნისი-დმანისი-თეთრიწყარი-წალკა)
15. გიორგი ხოჯევანიშვილი - (გორი-კასპი)
16. დავით დუგლაძე - (ხაშური-ქარელი)
17. ანტონ ობოლაშვილი - (ახალციხე-ადიგენი-ბორჯომი-ასპინძა)
18. სამველ მანუკიანი - (ახალქალაქი-ნინოწმინდა)
19. ზაზა ლომინაძე - (ქუთაისი)
20. პაატა კვიჭინაძე - (საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაული)
21. ბექან წაქაძე - (ზესტაფონი-ბაღდათი-თერჯოლა-ტყიბული)
22. გივი ჭიჭინაძე - (სამტრედია-წყალტუბო-ვანი-ხონი)
23. გოჩა ენუქიძე - (ამბროლაური-ონი-ცაგერი-მესტია-ლენტეხი)
24. ირაკლი ჩიქოვანი - (ზუგდიდი)
25. ირაკლი ხახუბია - (ფოთი-ხობი-სენაკი)
26. ალექსანდრე მოწერელია - (აბაშა-მარტვილი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ)
27. ვასილ ჩიგოგიძე - (ოზურგეთი-ლანჩხუთი-ჩოხატაური)
28. რესან კონცელიძე - (ბათუმი)
29. ზაალ მიქელაძე - (ქობულეთი)
30. ანზორ ბოლქვაძე - (ხულო-შუახევი-ქედა)

როგორი იქნება პოლიტიკური შეთანხმება?

კონსტიტუციური ცვლილებები მოიტანს ცხოვრების ცვლილებებს?

ან ბზას აირჩევს საქართველო-ვივლით წინ - მომავლისკენ, თუ უკან - წარსულისკენ?

მე-2-გვ

ჟურნალისტიკის დიდ გზაზე - მეოცნებეობა ფოთიდან დიდ ალიაქოთამდე

ქვეყნისა და ჩვენი ქალაქის საამაყო ექიმები

პროფესორი ლეო ბოკერია-81

ლევან რატიანი და ალექსანდრე გოგინავა



მე-7-გვ

კოლხეთის მინდია-ალექსანდრე მოწერელია 110

მე-4-გვ



ნიკოლოზ იბერი

აბრაამი

(ჭეშმარიტება თუ ჭეშმარიტების სახელით)

მე-6-გვ

ინფორმაცია

პენსიონერები ისტორიულ ფესვებს უბრუნდებიან

მე-4-გვ

მილოცვა

პაატა ვაჭას ძე გეგენავას გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების გამო

ჩვენს სახელოვან თანაქალაქელს, ცნობილ სამართალდამცველს, ეროვნულ კაცს, საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარეს, თადარიგის ვიცე - პოლკოვნიკს, „ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს კაზაკთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ ატამანს **პაატა ვაჭას ძე გეგენავას**, ვულოცავთ კაზაკთა **გენერალ-მაიორის** წოდების მინიჭებას და ვუსურვებთ, დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აქვე გთავაზობთ ბატონ პაატას ნარკვევს ქართველთა და კაზაკთა ურთიერთობის ისტორიიდან

მე-3-გვ

როგორი იქნება პოლიტიკური შემოდგომა?
კონსტიტუციური ცვლილებები მოიტანს ცხოვრების ცვლილებებს?
ის გზას აირჩევს საქართველო-ევროპით წინ - მომავლისკენ, თუ უკან - წარსულისკენ?

ამათ სამშობლო უყვართ? სხვებს?

საკონსტიტუციო ცვლილებებმა ნაწილობრივ შეცვალა საარჩევნო სისტემა. მთლად პროპორციულზე ვერ გადავედით, მაგრამ ამომრჩევლებს საშუალება ეძლევა არჩევანი გააკეთოს და პარლამენტში მოხვდეს დიდი თუ პატარა პარტიის მეტი წარმომადგენელი. 30 მაჟორიტარში შეიძლება ახლა მაინც შევარჩიოთ პოლიტიკოსი, პროფესიონალი, კეთილსინდისიერი კაცი. და არა პირადი ინტერესების დამცველი.

ასე თუ ისე, ახალი დემოკრატიული პროცესების ათვლის წერტილი გახდება 31 ოქტომბერი. სწორედ, ოქტომბერში ჩაფლავდნენ 8 წლის წინათ ,,ნაცები". ეტყობა, ამ ოქტომბერსაც ვერ გადაურჩებიან. ღმერთმა ნუ ქნას რაიმე სახელისუფლებო ბერკეტი მიეცეთ, თორემ კვლავაც ათას უბედურებას დაატრიალებენ. სამწუხაროდ, ,,ოცნების" უნიათობა ერთგვარ კარტბლანშს აძლევთ მათ-ქმნიან ახალ ტელევიზიებს 8 წლიანი ,,მოდვაწეობის" ნაძარცვით.

სახელმწიფო მშენებლობა პარტიებისა და პიროვნებებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მას უნდა ჰქონდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფცია. ერთიანი ეროვნული იდეოლოგია შერწყმული ქრისტიანულ რწმენასთან.

სოციალური უთანასწორობა, კორუფცია ყველა დონეზე აფერხებს სახელმწიფო მშენებლობას. ფსევდო დემოკრატიის პირობებში ცხოვრება, მაინც თავისი გზით მიდის, გაჭირვებულ ხალხს ახალი გაჭირვება დაემატა - პანდემიისა და სიკვდილის შიში. ბევრმა დაკარგა სამსახური,უპერსპექტივობა, როგორც პატარა ჯვარცმა თან ახლავს ათასების ცხოვრებას. მძიმე საარჩევნო ფონია. გაორებული საქართველო, თავისი პოლიტიკური შეხედულებებით, მსოფმხედველობით, მდიდრებით და დარიბებით, რუსეთის და აშშ აგენტებით. მიდის ბრძოლა ნაცადი მეთოდებით ხელისუფლებისათვის და არა ქვეყნის ინტერესებისათვის. ასე არეული არასდროს ყოფილა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. თითქმის ყველა პარლამენტარი პარტიას ქმნის, პოლიტიკა გახდა შურისძიების იარაღი. ბანკირები რამ გადარია, პარტიას, რომ ქმნიან-ახლა აქედან უნდა ამოხადონ სული ხალხს?

ფსევდოდემოკრატიამ, ფსევდოპრეზიდენტი, ფსევდო პარლამენტი და მთავრობა მოიტანა. სრულიად საქართველოს არჩეული პრეზიდენტი უუფლებო და დამცირებული მედიისგან დაბულინგებული იქეთ ითხოვს შველას.

ჩვენ ის პერიოდიც გვახსოვს კანონიერი ქურდები სახელმწიფოს სათავეში იოსელიანის ხელმძღვანელობით და შევარდნაძის მოწვევით. ვისაც ქვეყანა უყვარდა, იმქვეყნად გაისტუმრეს, რის მამული, რის ერი, დასავლეთის ორიენტაციის კაცი გვინდაო, არადა, **ზვიად გამსახურდიაზე** დიდი ევროპელი არ ჰყოლია საქართველოს, თუნდაც მისი მამის, კონსტანტინეს შემოქმედება რად ღირს, ვიდრე არ შეფასდება 1990-93 წლების მოვლენები, ,,ნაცბანდის" მოღვაწეობის შედეგები, გაუთავებლად ვიტრიალებთ უბედურებათა ცარცის წრეში. პროპორციული არჩევნები პარტიების არჩევნებია, ვერ ჩამოყალიბდა ისეთი პარტია, რუსეთის ან ამერიკის ჭკუაზე რომ არ ივლის. იმ მტერზე უფრო დიდი შინაური მტერია, საკაშვილ-ვაშაძის და სხვათა თამადობით. ეს უნდა დაინახოს ქვეყანამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ. ტერიტორიებს თავი დავანებოთ, საქართველოს ნახევარი ქონება ჩააბარეს რუსებს ,,ნაცებმა". ქვეყნის დამოუკიდებლობის უმთავრესი ფაქტორი, ენერგეტიკაც რუსეთს მიაბეს, წინდახედულობა იყო თუ წინდაუხედაობა, ესეც გასარკვევია. არ შეიძლება ასე ათამაშო ხალხი და ქვეყანა. ქვეყანაში უნდა მოვიდეს ახალი პარტიები, ახალი პროგრამებით და იდეებით, რასაც მოჰყვება რეალური წინსვლა დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. ამერიკელებზე უფრო საკაშვილი და მისი ბანდა რუსებს სჭირდებათ-კიდევ ერთი ომი და საქართველოს მთლიანად ჩააბარებენ. უნდა დამთავრდეს არაფორმალური მმართველობა. თუმცა, იმ ერთ კაცს არ უნდა დავუკარგოთ ბევრი რამ. თუნდაც მშვიდობიანად რომ მოგვიყვანა აქამდე, ბევრი თანხები დაახარჯა ქვეყანას და პანდემიას გადაგვარჩინა.

დროა, ჩავატაროთ არჩევნები ჩვენი გულის კარნახით და არა ხათრით ავირჩიოთ პრეზიდენტები და მთავრობები.

ქვეყანას, რომელსაც სააკაშვილი 10 წელი მართავდა, ბევრი სალაპარაკო არაფერი აქვს დემოკრატიასა და მის სიკეთეზე. ქართელი ხალხი იმსახურებს ნორმალურ ცხოვრებას და ბედნიერებას.

თანდათან უნდა ამაღლდეს საზოგადოების როლი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი. უნდა გვაწუხებდეს თითოეული ადამიანის ბედი. საილუსტრაციოდ ამერიკის მაგალითი კმარა, თავგასული პოლიციელის ნამოქმედარს ლამის გადაყვეს ქვეყანა. უნდა დამთავრდეს დემოკრატიას ამოფარებულების პარპაში. მედიას ამოფარებულ ბიზნესმენთა ჭკუისსწავლება, ეკლესიას ამოფარებულთა ბიზნესმენობა და ა.შ. უნდა მოცილდნენ ექსცენტრიული ადამიანები ასეთ წამყვან სფეროებს, როგორც ხედავთ გადამდები გახდა გაბუნიას სინდრომი. ჟურნალისტიკას ვერ გაარჩევ პროკურატურისაგან, ბარემ სასამართლოც შეცვალონ. ყოველივე კი ამ ორგანოების უნიათობის ბრალია.

უნდა დამთავრდეს სახელმწიფოს პარტიული მონოპოლია, ის არ უნდა იყოს პარტიის საკუთრება, სანამდე იქნება ნაცნობი სქემა: ფული-პარტია-პარლამენტი-ფული.

მავანნი ეკლესიებს აშენებენ ნაძარცვი ფულით, რათა ილოცოს ხალხმა მათი კარგადყოფნისათვის. ასეთი პარადოქსებითაა სავსე ჩვენი ცხოვრება-არჩევნებზე დადაობს გოგორიშვილი, ბატონმა ვოლსკიმ ბრძანა: ბიზნესი გახარებულია, რომ არ ვძარცვავთ და ამიტომ გვირიცხავენ ფულსო. ღარიბ - მათხოვრებს რატომ არ ურიცხავენ, ნეტა? თუ არსენას მოლოდინში არიან? ან უსუფაშვილს რა უნდა ბანკირებთან? სანიკიძეს-სააკაშვილთან, სადაა აქ იდეები, პრინციპები?

კიდევ ერთი პარადოქსი-ბანდიტები პოლიტპატიმრებად მონათლეს და ამაში დასავლეთია გარეული? არ გვჯერა, ისევ რუსების ხელი არ ურევია?

ღღეს ყველაზე მტკივნეული ხომ ახალგაზრდობაში დაბუდებული სიძულვილი და ცინიზმია. ევროპულობის საბაბით ისე არიან მიშვებული, არაფრად აგდებენ ადამიანურ ღირებულებებს-ღმერთს და რწმენას, რომელიც დაკარგა ევროპამ და ეს დაისიც ჩვენთანაც ახლოსაა. ახალგაზრდობა საზოგადოებრივი ცხოვრების ასლია და ამას შეეწირა პერსპექტიული ახალგაზრდა კეთილშობილი სპორტსმენი და პიროვნება გიორგი შაქარაშვილი. ვერ გავაკეთეთ დასკვნები სარალიძის და სხვათა ტრაგიკული მოვლენებიდან, ღღე არ გავა ვინმე არ ჩაცხრილონ.

მთავარი სიმძიმე განათლებაზე მოდის. ბოლო წლებია არ ეღირსა ეროვნული, სახელმწიფო აზროვნების კაცი აქაურობას. კორუფცია, სოციალური დისბალანსი, პოლიტიკოსების ლანძღვა-გინება ასევე დიდი მასწავლებელია. ბევრ ახალგაზრდას მშობლებისგან გათამამებულს, უშრომელად სიმდიდრე მოხვეჭილს, მიზანი დაუკარგავს. ამპარტავნობას შეუპყრია და არავინ იცის რა გზას დაადგება.

ბევრ ახალგაზრდას ოჯახის რჩენის საშუალება არააქვს. ღღესაც ყურში ჩამესმის ყვირილით გაჩეხილი შუა ღამე-რატომ ვერ ავაწყვე ცხოვრება, უკან მისდევს გამწარებული დედა, რამე შარს რომ არ გადაეყაროს. ეს ხმა უნდა ესმოდეს პარლამენტის წევრებს, მშობლებს კონტინენტებს იქეთ ბედნიერად მცხოვრები შვილებისა.

ადამიანს უნდა დაედგომობოდეს თავის ქვეყანაში, იგი იბადება ერთხელ. და ამ ადგილს სამშობლო ქვია. ის, ადამის დროიდან მოდის, რა ძნელია როცა ,,ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი".

ადამიანის ბედი სახელმწიფოს თანაზიარი უნდა იყოს. ისინი ქმნიან ხელისუფლებას და შესაბამისად უნდა მიიღოს ცხოვრების უფლებაც.

ნატო-ევროკავშირი ორიენტირად კარგია, მაგრამ სანამდის? მანამ ხომ უნდა ეღირსოს ხალხს ნორმალური ცხოვრება,ჩვენს ქვეყანას ჩვენ უნდა მოვუაროთ. ,,ოცნება, როგორც პარტია, ახლა ყალიბდება-ეს რთული გზაა, მას შეიძლება ივანიშვილის გარეშეც მოუნიოს ცხოვრება. სხვა პარტიებსაც აქვთ გამოკვეთილი ხედვა და ამის უგულებელყოფა არ შეიძლება-ყველა ეროვნულ ადამიანს, ნიჭიერსა და პროფესიონალს გზა უნდა გაეხსნას ყველა პარტიიდან, ესაა დემოკრატია.

90 დღე დარჩა არჩევნებამდე. საკმარისი დროა ფიქრისა და განსჯისათვის, რომ გავაკეთოთ კარგი არჩევანი. შეცდომებიც საკმარისად გვაქვს და საარჩევნო გაკვეთილებიც.

ზ. აბრალავა

მილოცვა ქალაქ ფოთის მერს

გოჩა კურდღელია -55

პატივცემულო გოჩა ნოდარის-ძევ!

საქართველოს კაზაკთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის კავშირის, საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის წევრთა სახელით, გულითადად გილოცავთ თქვენი ცხოვრების ლამაზ დღესასწაულს - დაბადების საიუბილეო - 55-ე წელს!

თქვენი ცხოვრების განვლილი გზა, ეს არის გზა ჩვენი ეპოქის ყველაზე საუკეთესო ნიშან-თვისების განხორციელებისა, რასაც ჰქვია ბეჯითი სწავლა, შრომაში თავდადება, სამშობლოს ერთგული მსახურება! ყველა ფოთელისთვის სასიხარულო და საამაყოა თქვენს მიერ ათწლეულების მანძილზე გაკეთებულ სახელოვან საქმეთა სიმრავლე, ის სიკეთე და სიხარული, რომელიც თქვენ - ქალბატონი ციალას და ბატონი ნოდარის ოჯახის დირსეულმა შვილმა თქვენს ძმებთან ერთად ჩვენს თანაქალაქელებს მოგვანიჭეთ და გაგვახარეთ!

სხვადასხვა თაობის ყველა ვეტერანისა და პატრიოტის სახელით მადლობას გიხდით ფოთის მერის სახელმწიფო სამსახურის მაღალ თანამდებობაზე თქვენს მიერ გაწეული ღვაწლისათვის, პატივისცემისა და თანადგომისათვის ჩვენი კავშირის წარმატებული საქმიანობისთვის ქვეყნის ერთიანობის, მშვიდობიანი აღმშენებლობისა და მომავლისკენ წინსვლის დიად საქმეში!

ნება გვიბოძეთ, გულითადად გისურვოთ წელთა სიმრავლე, მრავალი იუბილე, მტკიცე ჯანმრთელობა, დიდი ადამიანური ბედნიერება და წარმატებები სამშობლოს, მშობელი ერის და ფაზის-ქალაქის საკეთილდღეოდ.

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე, ჩვენო გოჩა ბატონო!

პატივისცემით,

პაატა ვაჟას-ძე გეგენავა
საქართველოს კაზაკთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი ატამანი, კაზაკთა გენერალ-მაიორი,
საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარე,
თადარიგის ვიცე - პოლკოვნიკი,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი

რა გტკივა ქალაქო?

"ჯავახიშვილის ქუჩაზე ატმოსფეროს ხარისხის მონიტორინგის სადგური დაიდგა"

ფოთში, ჯავახიშვილის ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ატმოსფერული ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგური დაიდგა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰაერის შმადგენლობას და დაბინძურების დონეს განსაზღვრავს.

სადგურის დადგმის საკითხი ჯავახიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებთან სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დაისვა. სადგურის მონტაჟის პროცესს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია,სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა, ქალაქ ფოთის მერის მოადგილეები დაესწრნენ.

ქუჩის მაცხოვრებლები, ნავსადგურის გაფართოების შედეგად ჰაერის დაბინძურებასა და ხმაურის მატებას აპროტესტებენ. სახელმწიფო რწმუნებულის ალექსანდრე მოწერელიას ხელმძღვანელობით ფოთის მერიაში ჯავახიშვილის ქუჩის მცხოვრებლებთან გასულ კვირას შეხვედრა გაიმართა, სადაც ყველა არსებული პრობლემა განიხილეს, მათი გადაჭრის გზებზე კი სპეციალური სამუშაო ჯგუფი იმუშავებს.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დამონტაჟებული იქნა საგზაო ნიშნები, რაც სატვირთო ავტომობილების გადაადგილებას არეგულირებს. ჰაერის მონიტორინგის შედეგების შესწავლის შემდეგ დასახული იქნება შესაბამისი ღონისძიებები.

საქართველოს მთავრობის დავალებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას იწყებს

ადგილობრივ თვითმმართველობასთან კოორდინაციით რეაბილიტირდება ზაქარია ფალიაშვილის 1.8 კმ-იანი ქუჩა, ვახტანგ გორგასლის 1.5 კმ-იანი ქუჩა, ეგნატე ნინოშვილის 1.76 კმ-იანი ქუჩა, გიორგი სააკაძის 2.08 კმ-იანი ქუჩა და კონსტანტინე გამსახურდიას 0.87 კმ-იანი ქუჩა.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მონაკვეთების რეაბილიტაციით გაუმჯობესდება გზის საექსპლუატაციო მაჩვენებელი, ავტოტრანსპორტი კი შეუფერხებლად და უსაფრთხოდ გადაადგილდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2020-2021 წლებში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, აკაკის ქუჩაზე გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 1,46 კმ-იანი და წმინდა გიორგის ქუჩაზე გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 1,505 კმ-იანი მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ელექტრონული ტენდერი უკვე გამოაცხადა.

პროექტების სავარაუდო ღირებულება 3 848 974 ლარია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით მიმდინარეობს რეკვავას ქუჩის 0.7 კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია,რომლის ღირებულება 1 370 729 ლარია.

პროექტები ქუჩების კეთილმოწყობას, ინფრასტრუქტურისა და ასფალტის საფარის აღდგენას ითვალისწინებს.

დასრულდა ტენდერი თამარ მეფის, ბერდიანსკისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპის განხორციელებაზე. პროექტის ღირებულება 1 285 067 ლარია.

სამუშაოები უახლოეს მომავალში, კანონით გათვალისწინებულ ვადებში დაიწყება.

წყლის ქსელის დაზიანების აღდგენითი სამუშაოების დასრულებისა და ლაბორატორიული დასკვნის შემდეგ წყლის მიწოდება აღსდგა

ქალაქ ფოთში წყლის მშენებარე კომპანიის მიერ სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას წყლის ქსელი ავარიულად დაზიანდა.

გაერთაინებული წყალმომარაგების კომპანიის საავარიო ჯგუფებმა დროულად უზრუნველყო დაზიანებული მილის დახშობა, რათა არ მომხდარიყო ქალაქის ქსელში ზედაპირული წყლის შეღწევა.

მოსახლეობის უსაფრთხოების გათვალისწინებით, ქალაქის გარკვეული ნაწილს წყალმომარაგების მიწოდება შეეზღუდა. ამ დროისთვის, მიმდინარეობს ლაბორატორიული ანალიზების აღება და პარალელურად, ქსელის გარეცხვითი სამუშაოები.

ლაბორატორიული დასკვნის და შესაბამისი სამუშოების დასრულების შემდეგ მოსახლეობას წყლის მიწოდება აღუდგება.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ბოდიშს უხდის მოსახლეობას შექმნილი დისკომფორტის გამო.

მშენებლობა

4 მასშტაბური პროექტი, რომლებიც ფოთის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

საპორტო ქალაქ ფოთში ინფრაქსტურტურული პროეტქების მშენებლობა-რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. „რეგიონული კვირა“ ოთხ მასშტაბურ პროექტს გაგაცნობთ, რომლებიც, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ფოთის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

1938 წელს ამპირის სტილში აგებული, ფოთის ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობაში, რომელსაც სრული რეაბილიტაცია უტარდება, მომავალი წლიდან ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალი განთავსდება. შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით სარგებლობს. ახალი სასწავლებელი 1000 სტუდენტზე იქნება გათვლილი და აკადემიაში 250-მდე პროფესორ-მასწავლებელი დასაქმდება. პროექტის ღირებულება 5 876 164 ლარია. სამუშაოებს შპს “დანი ქონსთრაქშენი“ ასრულებს.

სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია ფოთის მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის ტერიტორიაზეც. გასულ წლებში თუ ეს ადგილი სრულად დაჭაობებული იყო, მომავალი წლიდან ფოთის მოსახლეობას ევროპული სტანდარტის შესაბამისი საცურაო კომპლექსით სარგებლობა შეეძლება. კომპლექსის მშენებლობა დასრულების ფაზაშია, რომელსაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს. მისი ღირებულება 14,5 მილიონი ლარია.

სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია უტარდება ფოთის ცენტრალურ სტადიონსაც, სადაც მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოები მალე დასრულდება. პროექტის მიხედვით, შენდება სტადიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნები და სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი მოედანი.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 5 მილიონ 300 ათას ლარს შეადგენს.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მაქრო ქონსთრაქშენი“ ასრულებს.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და უეფას დაფინანსებით მუნიციპალიტეტში განხორციელდა – ფოთის საფეხბურთო სკოლის ტერიტორიაზე ტექნიკური ცენტრის მშენებლობაა.

პროექტის ფარგლებში ორი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული ზომის მოედანი მოეწყო, განათებით, ტრიბუნებითა და ადმინისტრაციული შენობით.

სამშენებლო სამუშაოები კომპანია “სფრინგ ქონსთრაქშენ”-მა განახორციელა. პროექტის ღირებულება 4 მილიონ ლარია.

ქალაქ ფოთში მასშტაბური პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის დასრულება, რომელიც „რეგიონული კვირის“ ობიექტივში მოხვდა მიმდინარე წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი.

პაატა გეგენავა: ქართველთა და კაზაკთა ურთიერთობის ისტორიიდან

ჩვენი ნომრის სტუმარია საქართველოს კაზაკთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი ატამანი, კაზაკთა გენერალ-მაიორი, საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარე, თადარიგის ვიცე - პოლკოვნიკი, ,,ფაზისის” საერთასამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი ***პაატა გეგენავა****, რომელიც გვესაუბრება ქართველთა და კაზაკთა ურთიერთობის ისტორიაზე.*

კაზაკთა თავისუფალი, უბატონო თემების არსებობა XVII საუკუნეში რუსეთის ისტორიის უაღრესად საინტერესო ფურცელია. ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი ისტორიოგრაფია არსებობს, რომლის მიმოხილვა ამჟამად ჩვენი ინტერესების სფეროში არ შედის. კაზაკური თემების გაჩენას ორმა ძირითადმა ფაქტორმა შეუწყო ხელი- სოციალურმა და გეოგრაფიულმა. სოციალური თვალსაზრისით, უბატონო საზოგადოების შექმნისთვის განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა XVI საუკუნის შუა ხანებში, როდესაც რუსეთში მაქსიმალურად გამკაცრდა ბატონყმური ექსპლუატაცია და დაიწყო გლეხთა უმაგალითო მასშტაბის მიგრაცია სხვადასხვა მიმართულებით (შედარებისთვის- სწორედ აღნიშნულ პერიოდში, ბატონყმური უღლის დამძიმების საფუძველზე ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა საქართველოშიც. რუსეთისგან განსხვავებით, ქართველი გლეხები ფეოდალურ ურთიერთობებს გაურბოდნენ ან მთიანეთში, ან აღმოსავლეთ კახეთში, სადაც თანდათან ყალიბდებოდა უბატონო თემები ქართული და დაღესტნიდან გადმოსული ლეკური ელემენტების მონაწილეობით. ბატონყმობას გარიდებული ქართველი გლეხობა თანდათან ისლამური ექსპანსიის სამიზნედ იქცა, რასაც XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ჯერ ამ რეგიონის კახეთისგან ჩამოცილება და შემდეგ დაკარგვა მოჰყვა შედეგად).

რაც შეეხება საკითხის გეოგრაფიულ ასპექტს, უნდა აღინიშნოს, რომ XVI-XVII საუკუნეების რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აკონტროლებდა აღმოსავლეთ ევროპის ვაკის მიმდებარე სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიას. ეს კი მამაპაპეული ადგილებიდან აყრილ გლეხობას შესაძლებლობას აძლევდა, შეექმნათ კომპაქტური, სათემო ორგანიზაციის პრინციპზე დამყარებული უბატონო დასახლებანი. დროთა განმავლობაში ასეთი თემები ჩამოყალიბდა უკრაინაში, იმერკავკასიასა და სამხრეთ ვოლგისპირეთში (ზაპოროჟიელი, დონელი, თერგისა და იაიკელი კაზაკები). ტერიტორიული განცალკევების მიუხედავად, კაზაკებს, რომლებიც ეთნიკურ-კულტურული თვალსაზრისით რუსულ სამყაროს განეკუთვნებოდნენ, მთლიანად არ გაუწყვეტიათ კავშირი მეტროპოლიასთან.

არ იქნება მცდარი, თუ ვიტყვით, რომ XVII საუკუნეში ისინი საერთო რუსულ/სლავური სამყაროს შემადგენელ ნაწილად უნდა გავიაზროთ (ეს ითქმის არა მხოლოდ უკრაინის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მომდევნო, არამედ მანამდელ პერიოდზეც).

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობებისგან თავის დაღწევამ ხელი შეუწყო ორიგინალური, კაზაკური ცხოვრების წესისა და ნორმების დამკვიდრებას, რაც შესანიშნავად აისახა რუსულ ხელოვნებაში (საკმარისია, გავიხსენოთ ილია რეპინის ცნობილი ფერწერული ტილო- ”კაზაკები პასუხს წერენ თურქეთის სულთანს”, ასევე- ნიკოლაი გოგოლის მოთხრობა ”ტარას ბულბა” და მიხეილ შოლოხოვის რომანი ”წყნარი დონი”. მართალია, ეს უკანასკნელი მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის დრამატულ მოვლენებს ასახავს, მაგრამ მაინც უაღრესად საინტერესო ძეგლია კაზაკური სამყაროს აღწერის თვალსაზრისით). კაზაკები, რომლებიც იძულებით არ იყვნენ ჩართული სოციალურ ვალდებულებათა განსაზღვრულ სისტემაში, ნადავლსა და სარჩო-საბადებელს ძირითადად მეზობელ რეგიონებში თარეშის გზით შოულობდნენ. დროთა განმავლობაში, ასეთი მარბიელი რეიდები მათი ცხოვრების ორგანულ, თანამდევ ელემენტად ჩამოყალიბდა. გეოგრაფიულმა მდებარეობამ თავისთავად განსაზღვრა კაზაკთა საშქრობის ძირითადი მიმართულებანი. დასავლეთით -ეს იყო პოლონეთი, ხოლო სამხრეთით - ყირიმი, შავი და კასპიის ზღვისპირეთი.

ერთი შეხედვით, შეიძლება გასაოცრადაც კი მოგვეჩვენოს, რა ნიადაგზე შეიძლება აღმოცენებულიყო საქართველოსა და კაზაკთა ურთიერთობანი. გეოგრაფიული სიახლოვის მიუხედავად, მათი საკონტაქტო სივრცე საიმედოდ იყო ჩაკეტილი ისეთი იმ დროისათვის ისეთი ძნელად გადასალახი ბარიერებით, როგორებიც იყო შავი ზღვა და დიდი კავკასიონი. ამის მიუხედავად, საისტორიო წყაროებში საკმაოდ საინტერესო ცნობებია დაცული ამ ურთიერთობათა შესახებ, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა უცხოური წარმოშობისაა. ქართულმა ნარატიულმა თუ დოკუმენტურმა ძეგლებმა, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ დააფიქსირეს აღნიშნული კონტაქტები.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ქართველთა და კაზაკთა ურთიერთობა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ინტერესით იყო განპირობებული. ქართული სამყაროდან ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტიურობით სწორედ ბრწყინვალე პორტას ხელდებული დასავლეთ საქართველო (იმერეთის სამეფო, ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები) გამოირჩოდა. XVII საუკუნის დასაწყისში ეს რეგიონი მთლიანად მოექცა თურქთა გავლენის სფეროში. იმ დროისათვის სტამბულმა შეძლო პრაქტიკულად განეხორციელებინა ის, რაც ფორმალურად უკვე გადაწყვეტილი იყო ამასიის ცნობილი საზავო ხელშეკრულებით (1555 წელი). სწორედ XVII საუკუნის პირველ მესამედში დასრულდა ოსმალური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის (ჩილდირის ვილაიეთი ანუ ახალციხის საფაშო) ჩამოყალიბება თურქთაგან მიტაცებული ყოფილი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. ამის შემდეგ გაოსმალების საფრთხე უშუალოდ მესხეთის ქედის ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიას დაემუქრა. ქართველ ხელისუფალთა წინააღმდეგობას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. XVII საუკუნის დასაწყისში სულთნის ხელისუფლება ჯერ კიდევ საკმაოდ მძლავრი იყო საიმისოდ, რომ დიდი ძალისხმევის გარეშე გადაეჭრა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული პრობლემები. საამისოდ მას სულაც არ სჭირდებოდა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები. დადიანისა და გურიელის მიერ 1614-1615 წლებში განხორციელებული აჯანყების შემდეგ საკმარისი იყო, ოსმალთა ფლოტს შავი ზღვის სანაპიროს ბლოკირება მოეწყო, რომ ორივე მთავარი მყისვე დადგა საზავო მოლაპარაკების ხასიათზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კოლხეთის მინდია-ალექსანდრე მოწერელია 110



შესრულდა დაბადებიდან 110 წელი დიდი ქართველი მეცნიერის ჩვენი ქალაქის მკვიდრის, ნიადაგმცოდნესა და მელიარატორის აკადემიკოს **ალექსანდრე ბესარიონის ძე მოწერელიასი**. ის ჭეშმარიტად სახალხო აკადემიკოსი იყო და ხალხის უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. მისი, როგორც მეცნიერის შემოქმედებითი გზა არ იყო იოლი, პერიოდი როცა იძულებული იქნა მიეტოვებინა თავისი სამსახური და რეგიონიდან სხვაგან წასულიყო, პირადი ტრაგედიაც გამოცადა (ქალიშვილი გარდაეცვალა) მაგრამ, სულიერად არასდროს არ დაცემულა, ფეხზე ისევ დგებოდა და ყოველთვის რჩებოდა კაცურ კაცად, თავისი ქალაქისა და ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტად. ბატონ ალექსანდრეს, როგორც დიდი მეცნიერის განვლილ შემოქმედებით გზაზე ჩვენ მისი დაბადების 90 და 100 წლის თავებისადმი მიძღვნილ სტატიებში ვწერდით ამჟამად, კი ჩემი დამოკიდებულება მასთან როგორც მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის პოზიციიდან მინდა განვიხილო. 1969 წელი იყო, მე მაშინ ხარკოვის ვ.ვ. დოკუჩაევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების აგრონომიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა კოლხეთის კომპლექსურ სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურში, რომელსაც ბატონი ალექსანდრე ხელმძღვანელობდა, აგროტექნიკოსად დავიწყე მუშაობა. ჩემს მოვალეობას სხვებთან ერთად ნიადაგური ჭრილების გაკეთება, ნიმუშების აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა წარმოადგენდა. იმ დროიდან დაიწყო ჩემი ინტერესი ნიადაგმცოდნეობის მიმართ, რაც შემდგომში იმაში გამოიხატა, რომ ორი კურსის დამთავრების შემდეგ უბრალო განცხადებით აგრონომიული ფაკულტეტიდან - ნიადაგმცოდნეობა. აგროქიმიის ფაკულტეტზე გადავედი. იმ პერიოდში მთელ საბჭოთა კავშირში ნიადაგმცოდნეთა მხრიდან ძალიან დიდი იყო ინტერესი კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ნიადაგების მელიორაციისა და გენეზისის თავისებურებების შესწავლის მიმართ. მახსოვს, ერთი ძალიან ცნობილი ბალტიისპირელი მეცნიერი ჩამოვიდა ფოთში. ბატონმა ალექსანდრემ გამოგვიცხადა სტუმარი შავღელის ექსპერიმენტალურ ბაზაში უნდა წავიყვანოთ და კოლმატირებული ნიადაგები უნდა ვანახოთო. წავედით ბაზაში, გავაკეთეთ ნიადაგური ჭრილები, როგორც ტყეში, ისე ათვისებულ ნიადაგებში. როგორც წესი ასეთ დროს იყო კამათი, აზრთა სხვადასხვაობა. მოკლედ სტუმარი ძალიან კმაყოფილი წავიდა ფოთიდან, ამის შემდეგ გავიდა რამოდენიმე წელი, დიპლომს ვიცავდი. თემა კოლმატირებული ნიადაგების გენეზისს ეხებოდა. თავის დროზე ბატონი ალექსანდრეს საკანდიდატო ნაშრომიც კოლმატაჟს, როგორც მელიორაციულ ღონისძიებას და კოლმატირებული ნიადაგების ფორმირების თავისებურებებს ეხებოდა, ამიტომ, ხშირად დავდიოდი ბატონ ალექსანდრესთან და ფაქტიურად მისი უშუალო ხელმძღვანელობით დავწერე სადიპლომო ნაშრომი. მოკლედ ბევრი რომ არ გავაგრძელო გამოვედი დიპლომის დასაცავად და რას ვხედავ, ის ბალტიისპირელი მეცნიერი არ ზის პრეზიდიუმში? თურმე სადიპლომო ნაშრომების დაცვის კომისიის თავჯდომარედ ყოფილა მოწვეული. როგორც კი მოხსენება დავამთავრე სიტყვით გამოვიდა ეს კაცი, ილაპარაკა იმის თაობაზე, რომ ნამყოფი იყო საქართველოში, კარგად იცნობს კოლმატირებულ ნიადაგებს, შემდეგ ძალიან თბილად მოიხსენია ქართველი ხალხი და განსაკუთრებით ბატონი ალექსანდრე. ამის შემდეგ ჩემი სადიპლომო ნაშრომი სტატიის სახით გამოვიდა უნივერსიტეტის შრომებში, მე კი ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება შემომთავაზეს. ასეც მოვიქეცი, შემდეგ ამავე ინტიტუტში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, იმის გამო, რომ ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტი ვიყავი ბატონი ალექსანდრე ჩემი ოფიციალური ხელმძღვანელი არ იყო, მაგრამ დისერტაციის წარმატებაში დიდი იყო მისი როლი, რაც ხაზგასმით აღვნიშნე კიდეც ნაშრომში.

სამწუხაროდ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ბატონი ალექსანდრე იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა კოლხეთის ფილიალი და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა სოხუმში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში გააგრძელა. მიუხედავად ამისა, როგორც კი გავიგებდი რომ, ფოთში ჩამოსული იყო მასთან აუცილებლად გავჩნდებოდი და სულგანაბული ვუსმენდი. ერთხელ აფხაზეთშიც ვახლდი სამეცნიერო ექსპედიციაში.

ბატონი ალექსანდრე უაღრესად ერუდირებული ადამიანი იყო, ამიტომ ვსაუბრობდით არამარტო მეცნიერულ პრობლემებზე, არამედ ცხოვრებისეულ საკითხებზე - სპორტზე, ეკოლოგიაზე და სხვა.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში ხშირად მოდიოდა ჩვენთან მალთაყვაში, სადაც ჩემმა მეუღლემ ბიოლოგიური ფერმერული მეურნეობა დაარსა.

ერთხელ ცხონებულმა მისმა ვაჟმა ირაკლი მოწერელიამ, (რომელიც ჩემი ახლო მეგობარი იყო) მისაყვედურა - დაანებეთ ამ მოხუც კაცს თავიო - ვუპასუხე მამასავით მიყვარს და სხვანაირად როგორ მოვიქცე მეთქი.

ბატონ ალექსანდრეს ძალიან უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით კარგად თამაშობდა ჭადრაკს და ბილიარდს. ახალგაზრდობაში ძალიან ყვარებია ჩოგბურთიც. იმ პერიოდში მისი ინიციატივით, საცდელ სადგურში გაკეთდა ქ. ფოთის სინამდვილეში პირველი ჩოგბურთის კორტი. შემდგომში კორტის რეკონსტრუქცია ჩავატარეთ, დიდი გეგმებიც გვქონდა, მაგრამ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა იმის შიშით მეზობლის ბავშვებმა ფეხბურთი არ ითამაშონო კორტის ნაწილი ტრაქტორით მოახნევინა. ეს ამბავი ძალიან განვიცადეთ ჩვენ და ბატონმა ალექსანდრემ.

ბატონ ალექსანდრეს თავისი წონადი სიტყვა აქვს ნათქვამი რეგიონის ეკოლოგიური პრობლემების გაშუქებაშიც. ჩემი აზრით ამ მხრივ მისი შემოქმედება ჯეროვნად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. 1990 წლის 1 მარტს ქ. ფოთის ადგილობრივ გაზეთ „ახალ კოლხეთში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი სტატია „პალიასტომის პრობლემები“. ამ სტატიაში მის მიერ გაკეთებულ პროგნოზში - პალიასტომი, „მომაკვდავი“ ტბა არისო. პრაქტიკულად ზუსტად ახდა და ამჟამად, თუ გადამჭრელი კომპლექსური მელიორაციული ღონისძიებები არ იქნა მიღებული პალიასტომის ტბა დიდი ალბათობით შეიძლება წყლისგან დაიცალოს და დაჭაობებულ გუბედ გადაიქცეს.

2011 წლის 25 ივნისს ადგილობრივ გაზეთ „ნიკოლაძის გზით“ გამოვაქვეყნე ბატონ ალექსანდრე ბესარიონის ძე მოწერელიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატია, სადაც ვწერდი შემდეგს: - „ამჟამად ალ. მოწერელიას სახელს ატარებს ქ. ფოთის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრი, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევით და ორგანიზაციულ საქმიანობას ეწეოდა ბატონი ალექსანდრე. სამწუხაროა, რომ დიდი მეცნიერული ტრადიციებისა და ავტორიტეტის მქონე ორგანიზაცია, სახელოვანი წინაპრის 100 წლის იუბილეს, მხოლოდ 4 მეცნიერ-მუშაკით, გაპარტახებული ექსპერიმენტალური ბაზებითა და ინფრასტრუქტურით ხვდება, ამიტომ, გვინდა გვაპატიოს მისმა სულმა, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა, ამ ბუმბერაზი მეცნიერის საიუბილეო თარიღს სათანადოდ ვერ აღვნიშნავთ“.

ეს ვრცელი ამონარიდი სტატიიდან იმიტომ მოვიტანეთ, რომ ამჟამად, ქ. ფოთის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრი გაუქმებულია. ჩვენ, ყოფილმა თანამშრომლებმა მრავალჯერ მივმართეთ ყველა ინსტანციას კვლევითი ცენტრის აღდგენის თაობაზე, მაგრამ პასუხის ღირსადაც არ გაგვხადეს. ეხლა, როცა კოლხეთის დაბლობის მელიორირებული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი მორად დაჭაობებას განიცდის, ხოლო კვალიფიციური მელიორატორები ბელორუსიიდან ჩამოგვყავს (ადრე პირიქით იყო) ფოთის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრის აღდგენა ჩვენის აზრით სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ამ ფონზე იმედი მაქვს, რომ ბატონი ალექსანდრეს შვილიშვილი, უმცროსი ალექსანდრე, რომელიც ამჟამად სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულია, თავისი საქმიანობით რეგიონში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

მჯერა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა კოლხეთის საცდელ - საკონსულტაციო კვლევითი ცენტრის ფუნქციონირება აღდგეს.

ოთარ ქირია
სოფლის მეურნეობის აკადემიური
დოქტორი, მთავარი მეც. მუშაკი
5.ივნისი. 2020 წ.

შენდება პენსიონერთა კლუბი

პენსიონერები ისტორიულფესვებს უბრუნდებიან



პენსიონერთა კავშირი „ბერბერა”-ს ლოგოზე გამოსახულია სამი ჩოხოსანი მოზარდი. მოზარდი და უხუცესი (რაც გამოხატავს თაობათა კავშირს).

თითოეული ჯგუფის მიმართ გაგვაჩნია პროგრამა.

საწესდებო ფუნქციების შესაბამისად არსებული პროგრამების პარალელურად დაგეგმილია აქტივობები სხვა მიმართულებითაც:

1) 2020 წლის ბოლომდე კოლხურ-იბერიული ისტორიული მეხსიერების ეროვნული ინსტიტუტის დაარსება.

2) 2020 წლის ბოლომდე ფოთის უხუცესთა საბჭოს დარეგისტრირება და სახალხო დიპლომატიის ფარგლებში აქტივობების განხორციელება აფხაზეთის უხუცესთა საბჭოსთან დამეგობრებისათვის, რომლის მიზანი იქნება ისტორიული, უნიკალური, იდენტური ტრადიციების აღდგენისათვის წინა პირობების შექმნა.

3) 2020 წლის ბოლომდე ფოთის საზღვაო შუქურის ზონაში საზღბაო მუზეუ,ის საპროექტო წინადადების მომზადება.

საპროექტო წინადადებაში წარმოჩენილი იქნება 2 გემის „არგო” და „ფაზისი”-ს ასლი.

აგრეთვე უნდა იყოს წარმოდგენილი კოლუმბის ფლაგმანი გემი „სანტა-მარია”-ს მაკეტი (რამდენჯერმე შემცირებული მასშტაბით). ამ გემზე ირიცხებოდა სიით შემადგენლობის მე-8 ნომრად კოლხი მეზღვაური გიორგი მოლაშხია.)

პენსიონერთა კლუბში თუ სად და როგორ განთავსდება კოლხეთის მეფის აიეტის დარბაზი (დომინანტი), კინოკლუბი „მედეა”, აკვარეუმი, ანტიკური ავტორების წიგნების მაღაზია, სუვენირების მაღაზია, თემატური ბიბლიოთეკა, პრესკლუბი და სხვა სახის მომსახურების ობიექტები, ამის შესახებ საუკეთესო წინადადებებს არქიტექტორები შემოგთავაზებენ. იქვე უნდა მოიძებნოს შესაფერისი სივრცე სენაკელი მუნჯი მხატვრის მ. ხუბუას ათეულობით ნახატების გამოსაფენად თემაზე: „კოლხი მეზღვაურები ატლანტიდიდან”.

სასურველი იქნება მოეწყოს აპარტამენტი - „ერთი დღე ატლანტიდაში” ერთდღიანი გაქირავებით.

საინიციატივო ჯგუფის სახელით
ჯუმბერ კემულარია
მობ: 551 202 139

პ.ს. ჩვენი წინა საპროექტო წინადადება ღიაა საზოგადოების მხრიდან მოწოდებული საუკეთესო წინადადებების გასათვალისწინებლად.

რედაქციისაგან:

ბატონი ჯუმბერ კემულარია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სხვადასხვა დროს არჩეული იყო სამი მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ:

1. მშენებლობის, არქიტექტურული დაგეგმარებისა და გარემოს დაცვის,
2. ეკონომიკურ საკითხთა,
3. საზღვაო-სანავსადგურო საკითხთა.

წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ ჯუმბერს კლუბ „ბერბერს” მომავალ საქმიანობაში ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

„მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა”

გივი გვრიტიშვილის ხსოვნას

სამძიმარი ზაქრო გვრიტიშვილს მამის გარდაცვალების გამო



ადამიანს ორი სიცოცხლე აქვს, მიწიერი და ზეციერი - მარადიული. კარგი კაცის ცხოვრება მისი საქმეებით გრძელდება, ამიტომაც დიდხანს დარჩება ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და თანაქალაქელების ხსოვნაში კარგი შვილების გამრდელი, ერთგული და უღალატო ქართველი კაცის, კასპის კოლორიტის ხსოვნა.

ბატონი გივი გვრიტიშვილის შრომითი მოღვაწეობა ელმავალშემკეთებელ ქარხანაში, სამშობლოს სიყვარული და საზოგადოებრივი აქტივობა კიდევ ერთი მაგალითია ნაღდი და ალალი კაცის ღვაწლისა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ვალმოხდილ კაცს სამარადჟამო გზას უნათებს ქრისტიანული რწმენა, სიყვარული და მოწიწება, მთელი მისი ცხოვრება ამ პოსტულატს ეფუძნებოდა და ამ მხრივაც ყველასთვის სამაგალითო იყო.

ბატონმა გივიმ ქართველი კაცის ხასიათის ყველა დიდებული თვისება ბოლომდე ატარა- იყო სტუმართმოყვარე, მუდამ ღიმილიანი მასპინძელი, მეგობრობის ბოლომდე გამტანი, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი, ძალიან დააკლდება ყველას.

უზომოდ მტკივნეულია ოჯახთან, მეგობრებთან, საზოგადოებასთან განშორება, რომელთათვისაც ბევრი სიკეთე უკეთებია. თუმცა, კიდევ შეეძლო ეღვაწა ამ ენერგიულ და დაუდგრომელი ხასიათის კაცს.

უფალმა გაანათლოს და შეიწყალოს მისი დიდებული სული.

„ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმი

პოეზია

ჭკუის მასწავლებლად!

ჭკვიანზე მეტრჯერ მეტი,
ჭკუის მასწავლებელია,
აგერია ერთმანეთში
ვინ ვის მაცდურებელია,
ამის სწორად დალაგება
აცდენილა ლოგიკას
არ გამედო აქ ჩარევა
თუკა ჭკუას მოგიც...-ს.

ჩემს ლექსებში!

შეეცადე ჩემ სამყარო
ღიად გამოეფინა

ნაჭო თოდუა
ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

რა მწამს, რა არ მჯერა
რაცმ გული მეცვინა.
თუ დაემთხვა ჩვენი ხედვა
ხომ კარგი და კარგია,
არ დაემთხვა? გადავწყვიტოთ!
როგორც საქმეს არგია!

ჩინიანი

საწუთროდან ცვილა მიდის,
რიგითი და ჩინიანი,

სწავლული და უსწავლელი,
უცვინო თუ ცვინიანი!
ახლომელი, შორეული,
შინიანი სხვისიანი!
წასვლის წინ ცვილა ცოლია,
მამალია თუ ფხიანი!

გახსოვდეს!

შენ რაც კარგი გიქნია,
გახსოვს არ გავიწყდება!

სხვემის კარგიც გახსოვდეს,
ღმერთი არ გაგიწყრება,
ისე, მგონი ჯობია
სხვემის კარგი გახსოვდეს.
შენ კარგით თუ ცრამახომ,
სხვემს ჯობია ახსოვდეს!...

რამაზ ლაგვილავა

სახუმარო შაირი-კაფიები

მეგობრისგან შევისყიდე
ძველთაძველი პოემა,
ცოლმა მყრალად გამითიხა და

ენა აღარ მთვლეცა.
ეს რა ჯართი გიყიდია
მერსედესში გაცვალე?
დღედა ღამე მწარედ მლანძღავს
ჰო და შენ გენაცვალე.
ჩავაჯინე პოემაში
ჩავაგდე სერიდან
და ღრმა ხრამში გადაუშვი
რადგან არ მომერიდა.

?????
ეჰ, სიდედრო, სიდედრო,

ნაქები ხარ ენითა,
სიმეს მწარე ენას ესვრი
თვითონ ცემეში ლხენითა.
მიწას ფეხებს არ აკარებ,
სულ დადიხარ ცერითა,
განთქმული ხარ დენიაზე
სიმის მწარე კმენითა.
კაცმა უნდა გარმენინოს
უამრავი ცხენითა,
მერე სიმეშ იკაიდოს
გამლეს შენი ცქერითა.

25 ივნისი 2020

ლევთერ ჭოჭუა
ლექსები ფოთზე და ფოთელებზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცისა

აფორიზმები ქართულ-მეგრულად

1. წყალწაღებული კაცი ხავსს ებღაუჭებოდაო... იმედის მთლად გადაწურვას იქნებ კიდევ ხავსზე მობღაუჭება სჯობდეს.

- წყარიშ ღალირი კოჩი ფუთქურს ოჯღირკუდუა... გვალო იმედიშ მეწკურუას ეგებ ხოლო ფუთქურიში მოძღირკინი ქოუჯგუდას.

2. ზღვაში პატარა თევზებს დიდი თევზები ჭამენ, კაცი კაცის ხორცს არ ჭამს, სულს ამოხდის მარტო.

- ზღვას ჭიჭე ჩხომეფს კაბეტ ჩხომეფ ჭკომუნს, კოჩი კოჩიშ ხორცის ვაჭკომუნს, შურს ეშულანს ხვალე.

3. თავი უნდა გიყვარდეს, მაგრამ იმდენად არა, სხვას რომ შეძულდე.

- დუდი ოკო გიორდას, მარა შხვას გაჯოგე თიზმათ ვარ.

4. მოფერება გველსაც კი ეამება.

- მოფერაფა შურდინაფილს ხოლო ოჰამ.

5. დიდ კაცთან ძღვენი მიაქვთ, პატარა კაცთან მოწყალება, ძღვენს უკან ეშმაკი მიჰყვება, მოწყალებას ღმერთი.

- დიდ კოჩიშა ძღვენი მეუღუნა, დო ჭიჭე კოჩიშა ჭყოლოფუა. ძღვენს ეშმაკ ეკოუნს, დო ჭყოლოფუას ღორონთი.

6. ვისაც დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, მას არც კვერცხი ექნება და არც ქათამი.

- მისით ამდღარ მარქვალ უსხუნუ ჭუმენერ ქოთომშანი, თის ვართ ქოთომ ავენუ დო ვართ მარქვალ აღვენუ.

7. მიჩვევა სიყვარულია-დაჩვევა ავადმყოფობა.

- მერჩქვანა ყოროფა რე, გერჩქვანა ლახალა.

8. ნათქვამია: - დათვი თუ მოგერია, ბაბა დაუძახეო. შენ რომ დაუძახო ის გაგიგონებს?

- ნარაგად რე:- თუნთიქ მეგერუდა ბაბა დოუძახა. სი დოუძახენი, თინა ქუგაიგონუანსო?

9. შენი თვალებით შენს თავს ვერასოდეს ნახავ, მაინც დამაინც თუ გინდა ნახო, სარკის მაგივრად გულში ჩაიხედე.

- სქან თოლეფით სქან დუს დღას ვაზირუნქ. გოკო იშენდოიშენ ძირენ და, სარკეშ მანგიერო გურშა ქენიჯინი.

10. კაცმა მაიმუნი დაიჭირა, შემოღობილში ჩასვა, გაჯავრება დაუწყო და ეუბნება: ჩვენ თქვენგან თუ ვართ გამოსული, ახლა რატომ არ გამოდის თქვენგან კაციო? -ერთხელ რომ შ ვცდით ის არ კმარაო-მიუგო მაიმუნმა.

- კოჩქი მაიმუნ ოჭოფუ დო ღობილს ქემთახუნუ, რღვინჯება დუჭყუ დო ურაგად: ჩქი თქვანდე ქუვორეთია გიშნაულა და ასე მუშენ ვეიშურსია თქვანდე კოჩი?- ართშა მევჩირთითი თინა ვამობაღუნანიაო-უგამ მაიმუნქ.

11. კატამ ინანაო:- კაცის იმედად დავრჩი და ვეფხვის შვილი თაგვის დამჭერი გავხდიო.

- კატუქ ინარღუა: კოჩიშ იმედის უვოსკიდია დო ყილოს სქუაქ ჭუკის მაჭოფალო გინივრთია.

მოიძია და თარგმნა ლევთერ ჭოჭუა

ფუი ეშმაკს
(იუმორისტული ჩანაწერი)

– ვირუსულმა მიკრობებმა, მსოფლიოც კი მოცვა,
თურმე ფულსაც ეტანება, თავი როგორ დაიცვა.
– ერთი რაღაც მოვიფიქრე. მისაღები ყველაზე,
ფულს, რომ ხელი არ შევახოთ, უარი ვთქვათ ხელფასზე.
–აღარც დანამატი მინდა, აღარც თქვენი პრემია,
ყველაფერი მათ ქონდეთ, ვინც კი ჩვენი მტერია.
–მე, რომ ფულზე უარს ვამბობ, ალბათ კარგად მეწყობა,
დანაზოგი იმდენი მაქვს, მთელ ქვეყანას ეყოფა.
–ჩემი ფული ქვას ხვრეტავდა, კორონას კი ვერ ერევა,
გადავყრიდი, მაგრამ ვაწყობ, გული მაინც ვერ ელევა.
–საქმიანი კაცი ვიყავ, გულადი და პურადი,
მიხაროდა, ვამაყობდი, ფულებში რომ ვცურავდი.
–როგორც ვხედავ, ეს ფულები, კორონასაც ყვარებია,
ვინ რა იცის მის შოვნაში, ღამეც გამითენებია.
–ფული ჩემი ცხოვრებაა, უფულოდ ვერ დავრჩები,
სახმარად თუ საშიშია, ცქერით მაინც დავტკბები.
–მიხარია, ფულის მარაგს დღე და ღამე ემატება,
ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს არ გამთავლოს ეშმაკებმა.

მარტი 2020

ვაჟა სიჭინავა

ასე რამ შემაყვარა

კუთხე ჩემი მშობლიური
ასე რამ შემაყვარა,
ქართლ-კახეთი-იმერეთი,
გურია და აჭარა.
აფხაზეთის ლურჯი მთები,
სიამაყე მეფური,
აქეთ მხარე, იქით უშბა
და სვანეთი ვეფხვური.
შენ მიყვარხარ მიწავ ჩემო,
მარიანად მთიანად,
ჩემი თავი შემოევლოს
საქართველოს მთლიანად.

აჭარა

აჭარა ლეგენდის ნაქსოვი,
მაგონებს ჯადოს და თილისმებს,
მე მიყვარს აჭარის აისი
როდესაც დილის მზე
პირს იბანს.
კოპარტსემის მიყვარს სურნელი,
ცად მოფარფატე თეთრი თოლია,
სხვა სილამაზე არსად მინახავს,
მხოლოდ ზღაპარში გამიგონია.

ჩემი ფოთი

უშენოდ რა მაცოცხლებს
რა ფასი აქვს ამ ცხოვრებას,
ვიწვი შენი სიყვარულით,
გეფიცები მშობელ დედას,
მთელი სიყვარულის გრძნობით,
ჩემს პატარა გულში ზიხარ,
ჩემი თავი შემოგევლოს
მთელ სიცოცხლეს მირჩევნიხარ.
შენზე ლოცვით ღამეს ვათევ,
დაგეფინოს მადლი ღვთისა,
ზღვისპირეთის დედოფალო,
მიწავ ძველო ლაზიკისა.

28 ივლისი 2020 წელი

აბრაამი

(ჭეშმარიტება თუ ჭეშმარიტების სახელით)

ღვთის მიერ, გოდოლის მშენებლობის ამპარტავნული განზრახვის დარღვევის შემდეგ ხალხმა იწყო სარწმუნოების დავიწყება. თავი იჩინა, ცრუმორწმუნეობამ და კერპთაყვანისმცემლობამ. კაცთა შორის შური და გარყვნილება გახდა მათი ცხოვრების მუდმივი წესი. სადაც, მართალს არ დაედგომებოდა.

იმ ხანებში ცხოვრობდა ერთი კეთილი, ღვთის მოსავი კაცი სახელად აბრაამი (სემის შთამომავლობიდან). ღმერთმა ამოარჩია იგი სარწმუნოების დამცველად და თავისი ტომის წინამძღოლად.

უთხრა ღმერთმა აბრაამს: ,,წადი სემის ქვეყნიდან, მამაშენის სახლიდან, ხარანიდან, რომელსაც მე გიჩვენებ. მე წარმოვიდგენ შენგან დიდძალ ხალხს და იკურთხებიან შენი ყოველი ტომი ქვეყნის" (დაბ. 12,1) აბრამი ერწმუნა ღვთის სიტყვას და წავიდა ხასანიდან, წაიყვანა თავისი ცოლი სარა და ძმისწული ლოტი. მივიდა მისთვის უცხო ქვეყანაში, რომლის სახელი იყო ქანაანი. აბრამის მისვლა, (როგორც ბიბლია გადმოგვცემს) მისთვის უცხო ქვეყანაში არ უნდა იყოს პირდაპირ გაგებული. ვინაიდან მისთვის ცნობილი იყო ნოეს ქვეყანა. აბრამის მისვლა მისთვის, უცხო ქვეყანაში ნიშნავს, მისთვის უცხო განათლებასთან ზიარებას, რომელიც მხოლოდ ქანაანის ანუ გვირგვინოსანი დედა ღვთაება ანის ქვეყანაში იყო. სადაც ისწავლებოდა ღვთის სარწმუნოება შექმნილი, (დაწერილი) კირიბზე ლაზური ანბანით,რომელიც დღემდე დაფლულ -დამარხულ არს იაფეთის შთამომავლების, ლაზი ქურუმების, წმინდა ბერების იგივე იბერების მიერ.

აბრამი ეზიარა ,,ქალდის" განათლებას, რაც ძველი მეგრული სიტყვიდან მომდინარეობს და ნიშნავს: ,,გვირგვინოსან დედა ენა ლაზურს". რის შესახებ შიურე წერს თავის წიგნში: Великое посвящение- Древний начальник Семитов по имени Авраам, по всей вероятнасти получивший Халдейское посвящение внедрит внего культ Елохима".

ღვთის სარწმუნოებას ნაზიარები აბრაამი თავის ქვეყანაში დაბრუნებული პირველი ამკვიდრებს ღმერთის კულტს ,,ელოხიმს" იგივე ,,იაღვეს". ეხლა კი განვმარტოთ თუ რას ნიშნავს: ქანანის ქვეყანა, სადაც აბრამი ეზიარა ღვთის სარწმუნოებას. ქანანის ქვეყანა ნიშნავს, (მაშინდელ მსოფლიოში) პირველ ზეუნივერსალურ განათლების ცენტრს, როგორც დღეს თანამედროვენი ხშირად ამბობენ: საუნივერსიტეტო ქალაქი, რომლის ცენტრი იყო უძველესი ხეთა, რაც ასევე ძვ. მეგრული ტოპონიმია და ნიშნავს: ,,ზის-აქ", რომელიც პირდაპირ მიუთითებს პირველი სასულიერო განათლების ცენტრზე. დღევანდელი სამეგრელო, ხობის რაიონის სოფელ ურთა -ჯეგეთას მთა. სადაც მდებარეობდა ნოეს სასულიერო სკოლა, რომლის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

აი, აქ ამ სკოლაში ზეუნივერსალურ განათლებას ნაზიარები აბრამით იწყება სემიტური მოდგმის ხსენება ბიბლიაში ღვთის მიერ კურთხეულ ერად! რა დროს საბოლოოდ წყდება ხსენება იაფეთის შთამომავლობის. რას იტყვი პატივცემულო მკითხველო! ყურადსაღები ფაქტია არა!? თუ რა მიზეზით გაქრა, (ერთუცბად) კვალი ჩვენი წინაპრების და რატომ არ იხსენიებიან იაფეთის შთამომავლები ბიბლიაში ღვთის კურთხეულ შთამომავლობაში მომავალ თაობებს შორის, რომელიც არის ღვთის სარწმუნოების მქონე ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე. და რატომ ვგებულობთ, იაფეთის ღვაწლის შესახებ, მხოლოდ საერო წყაროებიდან. გამოდის, რომ ბიბლია სემიტების წინასწარმეტყველთა წიგნია და მხოლოდ სემიტები იწოდებიან ღვთის რჩეულ ერად?! ოღონდ ისტორიულად ამის საფუძველს არ გვაძლევს სემიტების განვლილი ცხოვრება, თუმც ეკლიანი გზა მათაც განვლეს და ამაზე თვალის დახუჭვა ისეთივე დანაშაულია, როგორც თვალის დახუჭვა ათასწლეულების მანძილზე იაფეთის შთამომავლობის მიმართ, რაც დღემდე უწყვეტად გრძელდება.

მინდა გითხრათ, რომ ყოველივე ამის შესახებ იაფეთის ქურუმების, წმ. ბერების მიერ წინასწარ იყო ცნობილი სემიტების განზრახვის შესახებ და საგანგებოდ დაფლეს და დამარხეს ეზოთერული ბიბლია. ვინაიდან თავდაყირა რომ არ დაეყენებინათ ღვთის სიტყვა. თუმცა გარკვეული განათლების მიღების შემდეგ შეცვალეს ბევრი რამ, მათ შორის ყველაზე მთავარი იაფეთის შთამომავლობის მისია კაცობრიობის სულიერი განათლების სფეროში და ეგზოთერულ ბიბლიაში, მხოლოდ ღვთის სარწმუნოების მქონე, სემის შთამომავლობა აღიარეს და პირველ სულიერ განმანთავისუფლებლად აბრამი წარმოგვიდგინეს, რომელმაც ზეუნივერსალურ განათლებას ნოეს სკოლაში, იაფეთის ქურუმებთან, ეზიარა.

გადაჭრით შემიძლია ვთქვა: სემიტებმა ხელთ ვერ იგდეს ეზოთერული ბიბლია, ისინი ვერ დაეუფლნენ ღვთის წმინდა საიდუმლოებათა წინასწარმეტყველებას, რასაც ნოეს სკოლაში იაფეთი და მისი ქურუმები ღვთის კურთხევით ფლობდნენ, ანუ, როგორც ბიბლია გადმოგვცემს: ,,ღვთის სარწმუნოების მქონე". ამიტომ გააჩრეს ისინი ეგზოთერული ბიბლიიდან და ამიტომ, მოიძულეს იაფეთის შთამომავალი იესო, რომელიც ღიად ამხელდა ცრუ სარწმუნოების გამო სემიტების მამამთავარ რაბინებს. ამის გამო, ეშმაკთან თანაზიარი ურია რაბინებმა, რომლებმაც განსაკუთრებულ მოწინააღმდეგედ მიიჩნიეს იესო, საზოგადოების თვალში შეეცადნენ მის დაკნინებას. მაშინ იუდეველებმა უთხრეს: ,,განა კარგად არ ვამბობთ, რომ შენ სამარიელი ხარ და ეშმაკია შენში". (იოან.8.48.) მიაქციეთ ყურადღება თავად იუდეველები ამბობენ, რომ იესო არ არის თავისიანი ანუ აბრაამის წიაღში შობილი, არამედ სამარიელია. მიუგო იესომ: ,,ჩემში არაა ეშმაკი, არამედ მე პატივს ვცემ მამაჩემს, თქვენ კი უპატიოდ მყოფთ მე". (იოან. 8.49). განა შენ ჩვენს მამა აბრამზე დიდი ხარ, რომელიც მოკვდა?.. (იოან. 8.53.) აქაც იუდეველები პირდაპირ ავლებენ ზღვარს აბრამსა და იესოს შორის, რომ მათი მამა აბრამია, იესო კი სხვა რჯულის! მიუგო იესომ: ,,აბრამმა მამა თქვენს უხაროდა, რომ იხილავდა ჩემს დღეს. იხილა და გაიხარა."(იოან.8.56). იესოც, თანხმობით პასუხობს, რომ აბრამი მათი მამა იყო და რომ აბრამმა იხილა ღვთის დღე ანუ ეზიარა ღვთის სარწმუნოებას ნოეს სასულიერო სკოლაში, იაფეთის წმინდა ქურუმების მიერ. იხილა ანუ ეზიარა და გაიხარა. უთხრეს მას იუდეველებმა: ,,ჯერ ორმოცდაათის არახარ და აბრაამი გიხილავს?" (იოან.8.58) უთხრა მათ იესომ: ,, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ სანამ აბრაამი იქნებოდა მე ვარ" (დაბ.8.58). ამით იესომ კიდევ ერთხელ გარკვევით უთხრა სემის შთამომავლებს, რომ სანამ აბრაამი იქნებოდა, გამოჩნდებოდა, გამოაჩენდით მე ვარ, ნიშნავს ,,სიტყვას ღვთის მეორე ჰიპოსტაზს წმინდა ეზოთერულ ბიბლიას, რომლის ჭეშმარიტი დამცველები იყვნენ იაფეთი და, მხოლოდ მისი შთამომავლები და კიდევ: ,,თქვენმა მამებმა ჭამეს მანანა უდაბნოში და დაიხოცნენ". (იოან. 6.49). იესო მკაფიოდ გამოხატავს ურყევ პოზიციას, რომ ის არ განეკუთვნება მათ მოდგმას. პირიქით მიმართავს: ,,თქვენმა მამებმა! ჭამეს უდაბნოში მანანა და დაიხოცნენ" ე.ი. თვითონაც არათავისიანად თვლის მათ, ხოლო რაც შეეხება უდაბნოში მანანას ჭამა ნიშნავს: მიწიერ საზრდოს, პურს! რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ არ ქონდათ ზეციური მანანა. პური ჩვენი სულიერი არსობისა. ამიტომ, როგორც ურწმუნონი დაიღუპნენ უდაბნოში, რაც სულიერი განათლებისაგან გატიალებას ნიშნავს და დღემდე ასეთ საშინელ რეალურად გატიალებულ უდაბნოში დაეხეტებიან. მაგრამ, ბიბლიაში მხოლოდ ისინი მოხსენიებულ არიან ღვთის რჩეულ ერად. რატომ? განა ჭეშმარიტება ცალმხრივია? ყველა ვთანხმდებით, რომ არა! რადგან ჭეშმარიტებას არ გააჩნია მხარეები, იგი ერთია და ის სამყაროს შემოქმედი-ღმერთია! და ჩვენ, ბიბლიას ისევე უნდა ვეთაყვანებოდეთ როგორც ღმერთს, მაგრამ აქ, ჩვენ საქმე სულ სხვაგვარად გვაქვს: ბიბლიაში სამწუხაროდ ღვთის კურთხეულ მოდგმად მხოლოდ სემის შთამომავლები არიან მოხსენიებულნი. თითქოს ღმერთის შემდეგ ისინი ითვლებიან მთავარ შემომქმედ რასად კაცობრიობის ცხოვრებაში, რომელმაც გვაზიარა ღვთის სარწმუნოებას, რაზეც უნდა ვმადლობდეთ მათ! ასეც არის საქართველოში დღემდე, არსებული ტრადიციის მიხედვით, როდესაც ხდებოდა მეფის ინტრონიზაცია, დღეს კი პრეზიდენტის ინაოგურაცია და მომავალი პატრიარქის აღსაყდრება, ფიცის მიცემა ღვთისა და ერის წინაშე მარჯვენა ხელის დადებით ხდება ბიბლიაზე, რაც სემიტების თაყვანისცემას ნიშნავს. ვიანიდან ბიბლიაში ღვთის კურთხეულ ერად, მხოლოდ სემის შთამომავლები არიან წარმოჩენილები და მხოლოდ მათი წინამძღოლები ითვლებიან კაცობრიობის სულიერ მამებად. რომელთა ცხოვრება (თუ კარგად ჩაიხედავთ ბიბლიაში) საერთოდ არ მიესადაგება იაფეთის შთამომავლობის ცხოვრებას, რომელთა კულტურა და ტრადიცია წმ. ღვთის სარწმუნოებაზე არის დაფუძნებული, რაც სემიტების შთამომავლებში არსად ვხედებით, ამიტომაც, (ამ მიმთვისებლებმა) ბიბლიიდან საერთოდ გააჩრეს კვალი ღვთის რჩეული იაფეთის შთამომავლობის და თავად გამოაცხადეს საკუთარი თავი ღვთის კურთხეულ ერად. რომლებმაც შემდგომ ისტორიის ყველა ეტაპზე,მრავალცოდვათა შორის ჩაიდინეს ყველაზე დიდი ცოდვა: როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, სასტიკი წამების შემდეგ ჯვარს აცვეს. ამით საბოლოო განაჩენი გამოუტანეს იაფეტის შთამომავლებს და საერთოდ კაცობრიობას. და დღეს ისინი ,,მშვიდობის" სახელით სასტიკად ბატონობენ მსოფლიოზე.

რა უნდა ითქვას მეგობრებო ყოველივე ამის შემდეგ? როდესაც მართლმადიდებელნი ერთგულების ფიცს სემიტების წიგნზე დებენ. გარდა სამწუხარო სიტყვებისა: ,,ვაი საქართველო იაფეთის მოდგმავ, როდემდის იქნები უგუნური სხვათა შემყურე-თავდახრილი."

მინდა გითხრათ: ჩვენ, ქართველები დიდი შეჭირვების ჟამს, როდესაც დგება ჩვენი ქვეყნის ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მაშინვე დახმარებისათვის მივმართავთ ღმერთს: ,,ღმერთო იხსენ საქართველო მტრისაგან!. სამართლიანი იქნებოდა: (ღმერთი უფრო გადმოგვხედავს) ღმერთო იხსენ საქართველო ჩვენი უგუნურობისაგან და გაგვინათლე გონება". გარწმუნებთ, მტერიც გაქრება და საქართველო აღორძინდება. მაგრამ ეს, როგორც ეტყობა შეუძლებელია ჩვენი ,,დიდი გონიერების გამო". ვფიქრობ, დამეთანხმებით! და თუ არა, არც ეს იქნება დიდი ტრაგედია. ვინაიან, ჩვენ ხომ წინააღმდეგობრივი ერი ვართ. სხვისაზე ვდებთ ფიცს, ხოლო საკუთრი არც კი გვახსოვს. ან, საერთოდ თუ ვიცით (გამონაკლისის გარდა) და რა არის ამის მიზეზი? გა-უ-ნათ-ლებლობ-ა - ჩემგან დაწყებული...

მივყვეთ ბიბლიაში განვითრებულ მოვლენებს ბოლომდე. აბა, სად ვპოვებთ ჭეშმარიტ ნავთსაყუდელს.

*****

ისაკი

(მსხვერპლად შეწირული კრავი აღსავლენი)

როცა ისააკს 17 წელი შეუსრულდა, გამოეცხადა ღმერთი აბრამს და უთხრა: ,,მოჰკიდე ხელი შენს შვილს, შენს მხოლოდშობილს, რომელიც გიყვარს ისაკს და წადი მორიას მხარეში. იქ შესწირე აღსავლენი მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც გაჩვენებ". (დაბ.22,2) აბრამი მოიქცა ისე, როგორც ღმერთმა უბრძანა: მიადგა იმ ადგილს, სადაც ისაკი ღმერთისთვის უნდა შეეწირა: ,,გაიწოდა ხელი აბრამა და აიღო დანა შვილის დასაკლავად".(დაბ.22.10) მაშინ მოუხმო უფლის ანგელოზმა ციდან და უთხრა: ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას, რადგან მივხვდი, ღვთის მოშიში ყოფილხარ-მხოლოდშობილი შენი შვილი გამოიმეტე ჩემთვის". (22.22.)

მინდა გითხრათ: ღვთის მიერ კურთხეულ და აღიარებულ სემის შთამომავლობის მამამთავარდ აბრაამის გამოცდა ყველაზე მტკივნეულია, მსხვერპლის გაღებით, რაც ერთადერთ შვილს უკავშირდება. ვფიქრობ შეთხზულია. რატომ დასჭირდა ღმერთს ამ ფორმით ასეთი საშინელი გამოცდის მოწყობა აბრამისათვის. იგი, ხომ ღვთის მიერ უკვე გამოცდილი იყო, რომელშიც ღმერთმა ჰპოვა ნათელი და დააყენა მთელი შთამომავლობის მამათავრად,რა ეჭვი ეპარებოდა მის ერთგულებაში? თუ ჩვენ ბიბლიაში მოცემულ ხაზს გავყევით ასეა! მაგრამ ეს, ხომ არ არის ასე და ღმერთი არასდროს ითხოვს, მსგავს მსხვერპლშეწირვას ადამიანისაგან. ასეთი სახის მსხვერპლშეწირვა პირდაპირ მიესადაგება კერპთაყვანისმცემელთა მსხვერპლშეწირვის რიტუალს, სადაც ადამიანებს სწირავდნენ. ჩვილი ბავშვების ჩათვლით. რაც ებრაელთა მამამთავრის მიერ, მომავალი მესიისადმი მსხვერპლშეწირვის რიტუალს წარმოადგენს. ვინაიდან ჭეშმარიტ ღმერთს არა სწადია სისხლი თავისი ხატისა, არამედ სიყვარული. რადგან, სიყვარულით შექმნა ადამიანი, რომელშიც მარადიული სიცოცხლის სული შთაბერა.

შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს კითხვა: ,,რას იტყვით, ღვთის მიერ წარღვნის მოვლენით კაცობრიობის გაწყეტაზე გარდა ნოეს ოჯახისა: ან სოდომისა და გომორის ცეცხლით დაწვაზე, გარდა ლოტის ოჯახისა. განა ეს უფლის ნამოქმედარი არ არის?! დიახ, უფლის ხელია, ურჯულო, გარყვნილ კაცობრიობაზე, რომლებმაც დაივიწყეს ღმერთი. (ანალოგიურია დღესაც) მაგრამ არა იმ კაცისა, რომელმაც შეიცნო ღმერთი და გახდა ღვთის სარწმუნოების ჭეშმარიტი დამცველი. აბრაამი, მინდა გითხრათ, ჯერ კიდევ იმ საზოგადოების წევრი იყო, ვისაც ადამიანების მსხვერპლშეწირვა ჯერ კიდევ სისხლში ქონდათ გამჯდარი, როგორც ,,რელიგიური კანონი ღვთისაგან დაშვებული". რაც არასწორია! რომელიც ღმერთთან ,სრულ შეუსაბამობაში მოდის. აი, ამ ,კანონით ცხოვრობდა აბრაამი და ის, საკუთარი შვილის მსხვერპლად შეწირვას მიიჩნევდა ღვთის მოსაწონ საქმედ. რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება იაფეთის შთამომავლობის ტრადიციული მაღალი ზნეობის კულტურა, როგორც რელიგიის, ასევე საერო ცხოვრების. მაგალითისთვის, როდესაც ჩამოვარდა ქვეყნად შიმშილი, როგორც აბრაამის დროს იყო, წავიდა ისააკი აბიმელექთან, ფილისტიმელთა მეფესთან, გერაშში: ,,გამოიკითხეს იქაურმა კაცებმა ისააკის ცოლის, რებეკას ვინაობა. მან უთხრა: და არის ჩემი, რადგან შეეშინდა ეთქვა ცოლი არისო, ვაითუ მოეკლათ იქაურ კაცებს, რებეკას გამო, რადგან მშვენიერი შესახედავი იყო"(დაბ.26.7) ,,კარგა ხნის ნაცხოვრები იყო ისააკი იმ ქვეყანაში, როცა გამოიხედა აბიმელექმა ფილისტიმელმა მეფემ სარკმელში და ხედავს, ელაღება ისააკი რებეკას, თავის ცოლს" (დაბ.26.8) დაიბარა აბიმელექმა ისააკი და უთხრა: ,,ეს რა გვიყავი? კინაღამ დაწვა შენს ცოლთან ერთი ჩვენებური და კიდევ გაგვრეოდი ცოდვაშიო" (დაბ. 26.10) ანალოგიური შემთხვევა იყო აბრაამთანაც ფარაონის სახლში, როდესაც აბრამმა თავისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით ცოლი დად გამოაცხადა და კინაღამ ცოდვაში ჩააგდო ფარაონიც და აბიმელექიც, მაგრამ მათმა კაცობამ იხსნა უკვე ცოდვაში ჩავარდნილი აბრაამიც და მისი შვილიც ისაკის ოჯახია. (რაც ყოვლად მიუღებელია მსგავსი უწმინდური საქციელია იაფეტის შთამომავლობისაგან). მიუხედავად წარმოუდგენელი ცოდვისა აბიმელექმა დაასაჩუქრა ისაკი და გაუშვა თავისი სახლიდან. აქაც არსად ჩანს კვალი იაფეტის შთამომავლობის და კურთხეულ შთამომავლად მოიხსენიება ისააკი, აბრაამის ძე, სემის შთამომავლობიდან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პატივისცემით

ნიკოლოზ იბერი
14.ივნისი 2020 წელი
ფუთი.

მედიცინის დიდ გზაზე – მშობლიური ფოთიდან დიდ აღიარებამდე

ქვეყნისა და ჩვენი ქალაქის საამაყო ექიმები
პროფესორი ლეო ბოკერია-81

მსოფლიოში აღიარებული ქართველი კარდიოქირურგი ლეო ბოკერია, რომელიც რუსეთში ცხოვრობს, 81 წლისაა

მსოფლიოში აღიარებული ქართველი კარდიოქირურგი ლეო ბოკერია, რომელიც წლებია რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს, 81 წლისაა, თუმცა, ცხოვრების სტილით და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებით, ბევრი ახალგაზრდისთვის მაგალითია.

81 წლის ქირურგი დღის განმავლობაში, დაახლოებით 5 ოპერაციას აკეთებს, არის რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წევრი და გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ნაციონალური სამედიცინო კვლევითი ცენტრის პრეზიდენტი. სააგენტო TACC-თან ინტერვიუში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი ბოკერია იმ ჩვევებზე საუბრობს, რომლებიც ადამიანს ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს და სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს.

„ტყუილად არ ამბობენ, რომ სიცოცხლე მოძრაობაშია. უკვე მრავალჯერ იქნა დამტკიცებული, რომ ადამიანის გაჯანსაღების ყველაზე ეფექტური მეთოდი, ფეხით სიარულია. ადამიანი, რომელიც კვირაში ორ საათს მაინც დადის ფეხით, არა სირბილით, არამედ მშვიდი, ნელი ნაბიჯებით, 6-7 წლით მეტს ცოცხლობს“, - ამბობს ბოკერია.

- ცოტა ხნის წინ გავეცანი კვლევას - სეულის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ დღეში სამჯერ კბილების ხეხვას შეუძლია შეამციროს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი. ეს ნამდვილად ასეა?

- დაახლოებით 30 წლის წინ, როდესაც ჰიგიენის პრობლემა უფრო მწვავედ იდგა, კბილის ჯაგრისს საპნითა და ცხელი წყლით რეცხავდნენ, რადგან მიიჩნეოდა, რომ წყლის გადავლებით ბაქტერიების მოშორება ვერ ხდებოდა. დღეს ეს პრობლემა შეგვიძლია მოვაგვაროთ ჯაგრისის ხშირი გამოცვლით და პირის ღრუს სპეციალური სავლებით, კბილების გამოხეხვის შემდეგ.

პირის ღრუს ფლორის ჰიგიენა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ პირიდან შეიძლება მოხვდეს მიკრობები სისხლსა და ორგანიზმში.

- რა ჩვევები გვეხმარება ჯანმრთელობის შენარჩუნებაში?

- პირველი ჩვევა - კარგ ხასიათზე ყოფნაა, პოზიტიური განწყობა ცხოვრებისადმი. ჩემი ღრმა რწმენით, ამის გარეშე არაფერი გამოვა. მაგალითად, მე, როდესაც დილას ვდგები, რადაცას ისეთს ვაკეთებ, რომ ჩემი მეუღლე გავახალისო - ვყვები ანეკდოტს, ვაცინებ. მეორე - ჩემი აზრით, ადამიანს საინტერესო საქმე უნდა ჰქონდეს, რომ რამეს ქმნიდეს და აკეთებდეს, განვითარების საშუალება ჰქონდეს.

-შემდეგი ელემენტია - ჯანსაღი ცხოვრების წესი, რომელშიც შედის სწორი ძილი, ჯანსაღი კვება და ფიზიკური აქტივობები.

ადამიანის ორგანიზმი საათივითაა - მას ჭირდება ენერგიის წყარო, რაც ამ შემთხვევაში კარგი ძილია. ღრმა ძილი, პრეპარატების დახმარების გარეშე. ამასთან, სასურველი არ არის ზედმეტად დანაყრება და კარგია, თუ ადამიანი დაკავებულია რაიმე სახის ფიზიკური აქტივობით.

რამდენი საათი უნდა გვეძინოს? ამ შეკითხვაში მნიშვნელოვანია არა დრო, არამედ რეჟიმი - მაგალითად, მე დილის 07:45 საათზე უკვე საოპერაციოში ვარ, ამიტომ ვდგები დილის 6 საათზე და მძინავს 6 საათი. ყოველდღე ერთსა და იმავე დროს ვიძინებ და ვიღვიძებ.

ექიმების საიმედო ახალი თაობა

ლევან რატიანი და ალექსანდრე გოგინავა

ლევან რატიანი წარმოშობით სვანი, ფოთში გაიზარდა, ნიკო ნიკოლაძის სახელობის გიმნაზიის წარჩინებულმა, განსაკუთრებული უნარებით გამორჩეულმა სტუდენტებმა, წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. იმავე წელს სამედიცინო უნივერსიტეტის პოსტდიპლომურ სწავლებაში ჩაებარა ანესთეზია-რეანიმაციის მიმართულებით და ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი გახდა. პარალელურად, სწავლობდა სადოქტორო პროგრამაზე და 2012 წელს მედიცინის აკადემიური დოქტორი გახდა.

ლევან რატიანის შრომითი ბიოგრაფია იმდენად ვრცელია, რომ მისი რეგალიების გადმოტანა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ცნობისთვის გეტყვით, რომ მან ექიმის კარიერა 2008-2011 წლებში ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმობიდან დაიწყო და საომარი მოქმედებების დროს გამოჩენილი პროფესიონალიზმისა და თავდადებისთვის კიდეც დაჯილდოვდა. 2010 წელს მაიამის უნივერსიტეტის ჯექსონის სახელობის კლინიკაში შინაგანი მედიცინისა და კარდიოლოგიის კურსები გაიარა. 2011 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პოსტდიპლომური, უწყვეტი პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამის – „პრეჰოსპიტალური გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მართვა საგანგებო სიტუაციების დროს“ – ავტორი და პედაგოგი. არ დარჩა კლინიკა, სადაც ორმოცდაათამდე სამედიცინო სტატიის ავტორმა, თავისი პროფესიული კვალი არ დატოვა.

– ძალიან საპასუხისმგებლო პროფესია გაქვთ, ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს ემსახურებით, ამ გადასახედიდან – იმავე პროფესიას აირჩევდით?

– სიმართლე გითხრათ, ექიმობა ჩემთვის პროფესიაზე მეტია, მთელი ჩემი ცხოვრებაა და განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ექიმების მიმართ. დღესაც რომ თავიდან ვაკეთებდე არჩევანს, ისევ ამ პროფესიას ავირჩევდი. ბევრი სიცოცხლე გადამირჩენია და ბევრიც ისეთი ადამიანი წასულა ჩემი ხელიდან, რომლებთან ერთადაც მიბრძოლია სიცოცხლისთვის. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როდესაც სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების თანამონაწილე ხარ.

- ფიქრობთ, რომ ქართული მედიცინის ისტორიას წერთ?

– თუ დამცალდა, აუცილებლად დავწერ ქართული მედიცინის ისტორიას. მინდა, მქონდეს ისეთი კლინიკური ცენტრი, რომელიც მოწინავე იქნება ბაზარზე. ექიმობა ქართველებისთვის შესისხლხორცებული პროფესიაა. ვფიქრობ, საქართველო მოწინავე უნდა იყოს მსოფლიო ჯანდაცვის კუთხით და ალბათ, დადგება დრო, როცა ქართველი ექიმები ისტორიაში ჩაიწერებიან.

– წარმოგვიდგინეთ თქვენი ოჯახი...

– მეუღლე ექიმი პედიატრია. სამი ვაჟი გვყავს, ოჯახისთვის ნაკლებად ვარ. იციან, რომ ჩემთვის მთავარი პროფესიაა და ეგუებიან ამ ყველაფერს.

– თქვენთვის, როგორც სიცოცხლისთვის სიკვდილთან მებრძოლისთვის, რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე ყველაფერია. ხშირად ვფიქრობ, მე რომ ექიმი რეანიმატოლოგი არ ვყოფილიყავი, გავიგებდი თუ არა, რა არის სიცოცხლე?! სიცოცხლე ბედნიერებაა და ჯერ კიდევ ვაჟა ამბობდა: „სიცოცხლე მშვენიერია, სიკვდილი გარდაუვალი!“ სად გადის ზღვარი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის – ეს ძნელი წარმოსადგენია.

– გწამთ იმქვეყნად ცხოვრების გაგრძელების?

– ღმერთის მწამს და სულ ვწერ, რომ ჩვენ იმქვეყნად ისევ შევხვდებით ერთმანეთს!

მსოფლიოში დატრიალებულმა პანდემიურმა რეალობამ საქართველოშიც შეცვალა ცხოვრება ბევრი პარაეტრით. სამედიცინო ფრონტზე გამოჩნდნენ ახალი სახეები, გამოცდილ ადამიანებთან ერთად ახალი ხედვით, ნიჭით, ინტელექტით გამორჩეულები. მათ შორისაა ჩვენი თანაქალაქელი ბატონი **ალექსანდრე გიას ძე გოგინავა**.

იგი დაიბადა ფოთში 1988 წელს. პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 2004-2010 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. აქვე 2014 წელს დაამთავრა რეზიდენტურა-ინფექციურ დაავადებათა სპეციალობით. ამავე წლიდან მუშაობს თბილისის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკურ იმუნოლოგიის ცენტრში.

ალექსანდრე გოგინავას ექიმის პროფესიისადმი სიყვარული მემკვიდროებითია-შვილის პიროვნებად და პროფესიონალად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მამას, ბატონ **გია გოგინავას**-ცნობილ ექიმ - თერაპევტს და დედას - პროვიზორს ქალბატონ **ქეთევან ქობალავას**.

ბატონი ალექსანდრეს ცხოვრება ნათელი მაგალითია ხალხის უანგარო მსახურებისა, ერთგულებისა და კაცობისა, ის მიუხედავად სამსახურებრივი დატვირთულობისა, იცლიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისთვის. რაც მიუთითებს მის მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციაზე.

ცხადია, მამის გზას ადგას ბატონი ალექსანდრე - სრულიად ახალგაზრდა კაცმა მოიპოვა ავტორიტეტი მთელი ქვეყნის მასშტაბით. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულშია, უპირველესად, არის ამ ქვეყნის შვილი, პატრიოტი, და, რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ სულისკვეთებას ერწყმის პროფესიული თავდადება, წარმატებული მოღვაწეობა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა საქართველოსთვის უმძიმესს პერიოდში, როცა პანდემიის შიშმა მოიცვა ყველა. ალექსანდრე გოგინავამ კოლეგებთან ერთად ყველაფერი გააკეთა ადამიანების გადასარჩენად. განსაკუთრებიდ დამაიმედებელია მისი გამოსვლები ტელევიზიით, რაც ამხნევებს ადამიანებს, რწმენას მატებს, რომ დავსძლევთ ამ მძიმე სენს.



გვჯერა, ბატონი ალექსანდრე დიდი შემართებით კვლავაც გააგრძელებს მოღვაწეობას უმთავრესი ღირსებების -სიცოცხლის გადასარჩენად.

ადამიანური, პროფესიული სიყვარული კვლავაც უნდა გადავიდეს მამადან შვილში, შემდეგ შვილიშვილში, ამიტომაც ვუსურვებთ მალე დაოჯახებას, ბედნიერებას, წარმატებებს ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში, ჩვენი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

******

რეკომენდაციები პანდემიის პირობებში

ალექსანდრე გოგინავა: ღია სივრცეში პირბადის ტარებას აზრი არ აქვს, ღია სივრცეში უფრო მნიშვნელოვანია დისტანცირება. უნდა მივეჩვიოთ, როდესაც ადამიანს შევხვდებით, დისტანციურად გავესაუბროთ. ეს ჩვევად უნდა გვექცეს, „ამ ვირუსთან თანაცხოვრება არავის მოგვწონს, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ეს ვირუსი ასე არ გაქრება, ამიტომ, როგორც შეგვიძლია მაღალი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ, გავიაზროთ, რომ ეს ვირუსი ჩვენთან ერთად არის და მასთან თანაარსებობა, რეკომენდაციების დაცვით შესაძლებელია“,

კითხვაზე, როდესაც ბოლო პაციენტს გაწერს და ბევრი დრო ექნება რას გააკეთებს, ინფექციონისტმა ასე უპასუხა: „ალბათ იმ ადამიანებს ვნახავ, რომლებიც დიდი ხანია არ მინახავს. თებერვლის დასაწყისიდან სამსახურის გარეთ ცოტა ადამიანია, ვისთანაც კონტაქტი მაქვს. მერე კარგად გამოვიძინებ, ძილი ყველას გვაკლია“,

#იმოგზაურე სამეგრელოში

მოინახულეთ კოლხეთის ეროვნული პარკი

კოლხეთის ეროვნული პარკი შავი ზღვის სანაპიროზე, პალიასტომის ტბის მოდამოებში. აღმოსავლეთით ესაზღვრება მდინარე ეწერი, სამხრეთით მდინარე ფიჩორი.

ეროვნული პარკი 5 ადმინისტრაციული რაიონის - ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშისა და ლანჩხუთის ტერიტორიაზეა განლაგებული და საქართველოს ორი ისტორიული მხარის - სამეგრელოსა და გურიის ნაწილია.

პარკის მიზანია კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი რელიქტური ველური ფლორისა და ფაუნის მთლიანი კომპლექსის დაცვა. ნაკრძალს დიდი სამეცნიერო-კვლევითი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ლანდშაფტები, ცალკეული ეკოსისტემები და ცენოზები.

მისი საერთო ფართობია 44308,5 ჰა-ია, რომლიდანაც ზღვის აკვატორია 15276 ჰა-ს შეადგენს.

კოლხეთის ეროვნული პარკი მიეკუთვნება დაცული ტერიტორიების I შ მეორე კატეგორიას. 1997 წლიდან მას იცავს რამსარის კონვენცია, რომელიც წარმოადგენს მთავრობათაშორის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს მიგრირებად, მიმომფრენ და წყალმცურავ ფრინველთა საბინადროდ ვარგისი არეალების დაცვას.

კოლხეთის ეროვნულ პარკის მონახულება წლის ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. მდინერეების, ჭურიისა და ფიჩორის ხეობაში, ასევე, პალიასტომისა და ოქროს ტბაზე შესაძლებელია დაგეგმოთ ნავებით, კატერით, პანტონით და კაიაკით გასეირნება, შემდგომ კი კოლხური ტყისა და უნიკალური ჭაობების მონახულებას შეძლებთ. კოლხეთის ეროვნულ პარკში 100-ზე მეტ სხვადასხვა სახეობის გადამფრენ ფრინველზე დაკვირვებისთვის, სათვალთვალო კოშკურებია მოწყობილი.

პარკში განსაკუთრებით საინტერესოა პალიასტომის ტბა, შავი ზღვის აკვატორია, უნიკალური ჭაობები და კოლხური ტყე. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ვიზიტორებს პალიასტომის ტბასა და მდინარე ფიჩორის ხეობაში სანაოსნო ტურებს, ასევე სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებას (ბერდვოჩინგს) და ეკო-საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს.

კოლხეთის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში შესაძლებელია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონახულება. კერძოდ: ნოქალაქევი, ხობის მონასტერი, დადიანების სასახლე, რუხის ციხე.

20 ივნისიდან შეგიძლიათ ესტუმროთ ნიკო ნიკოლაძის კოშკს

გთავაზობთ კოშკის შესახებ მოკლე ისტორიას :

ძეგლი წარმოადგენს ანსამბლურ ხუროთმოძღვრულ ძეგლს, რომელიც დაშენებულია XVIII საუკუნის 30-იან წლების ციხე გალავნის კედელზე. ძირითადი ნაგებობა (რომელიც თურქულ ციხეზე რუსებმა დააშენეს) თავდაპირველად სამსართულიანი იყო. ნიკო ნიკოლაძის მიერ XIX საუკუნის 90-იან წლებში მოირღვა ხის ნაწილი, დააშენეს ორი სართული, ბოლო სართულზე დადგეს საათი. ეს ძეგლი დღემდე ამ სახითაა შემორჩენილი. ამავე პერიოდში ნაგებობაზე მიშენებული იქნა ორსართულიანი ფლიგელი, საცხოვრებელი დანიშნულებით ღია რიკულებიანი აივნით, ნაწილობრივ შემინული. ხუროთმოძღვრული ძეგლის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს ხუთსართულიანი კოშკი, რომელიც სართულიდან სართულში ლოგიკურად გადადის და ერთიანად აღიქმება. კოშკის მთავარი ფასადის პირველი სართული წარმოდგენილია შეწყვილებული ვიწრო კარით, თითეული მათგანი ბოლოვდება შეისრული თაღით. მათ აერთიანებს საერთო ფონიდან რელიეფიურად ამოწეული წარბი, რომლის თავზე მოთავსებულია ქვაში ამოკვეთილი წარწერა. მეორე სართულზე შეისრული ფორმის სარკმელია გამოჭრილი. მესამე სართული კი შეწყვილებული თაღოვან სარკმელით არის წარმოდგენილი, რომელსაც რელიეფურად დამუშავებული შეისრული თაღის სტილიზებური არქივოლტი აერთიანებს. მეოთხე სართულზე ცრუ სარკმელია რელიეფური მოჩარჩოებით, ხოლო მეხუთე სართულზე კი ლუნეტია წარმოდგენილი. ფასადზე სართულები ჰორიზონტალური, რელიეფური სარტყლებით არის დანაწევრებული. კოშკი ბოლოვდება პროფილირებული კარნიზითა და ქონგურებით. კოშკში შესვლა ხდება ფლიგელისა და კოშკის გამაერთიანებელი ნაწილში განთავსებული ქვის კიბეების საშუალებით. კოშკის ძირითადი ხუთსართულიანი შენობის პირველ სართულზე ქვის ასასვლელი კიბის გარდა დამხმარე სათავსოებია განთავსებული. მეორე და მესამე სართულზე კი ნიკო ნიკოლაძის მემორიალური მუზეუმის საექსპოზიციო მასალები; მეოთხე სართულზე ნიკო ნიკოლაძის სტუმრების მისაღები ოთახია ბუხარით. მეხუთე სართულზე განთავსებულია სამ ციფერბლატიანი მექანიკური საათის მექანიზმი. კოშკი ბოლოვდება სათვალთვალო ტერასით, სადაც ასვლა აღმოსავლეთის ფასადზე დაკიდული მეტალის კიბით ხდება. საკუთვრივ კოშკის სართულები ერთმანეთთან ხის, სპირალური, რიკულებ- მოაჯირიანი შიდა კიბით არიან დაკავშირებული. თითოეული სართულის კიბის უჯრედი სართულების მიხედვით იხურება იატაკში ამოჭრილი ხის ლუქით. ნიკო ნიკოლაძის კოშკის ინტერიერი და ექსტერიერი გამოირჩევა თავისი სისადავით.



რესტორანი ძველის და ახლის თანაარსებობის ოაზისია

ტურიზმის ეპოქაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურას, ქვეყანის, ქალაქის ისტორიას, კულტურას,ხალხის სტუმართმოყვარეობას, მოგზაურების უსაფრთხოებას.

ჩვენს უძველეს ქალაქს-ფაზისს და მის შემოგარენს, ბუნების ყველა სიკეთე აკრავს-ზღვა, ტბა, მდინარეები.მარტო არგონავტების მოგზაურობა და მსოფლიოში აღიარებული მედეა რად ღირს. სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურაში მოვიკოჭლებთ, სასტუმროები, გზები, პლაჟები, საკრუიო გემების ადგილი აღარაა ფოთში. საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ინიციატივიანი ადამიანები და თანამედროვე და წარსულის მომცველი რესტორნებით დაამშვენეს ქალაქი და მისი შემოგარენი, მათ შორისაა-წარმატებული ბიზნესმენი კარგი ფოთელი ბატონი **სოსო ნულაია**.

ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ყურადღებას იპყრობს რესტორანი „ძველი სახლი"". მაგრამ ახალმა რესტორანმა, რიონის წყალგამყოფი ხიდის გადაღმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რესტორანი კი არა, რაღაც ეთნოგრაფიული კუთხეა გამორჩეული ექსტერიერითა და ინტერიერით.

მოკლედ, ირგვლივ საოცარი ბუნებაა - რიონი, როგორც ამაზონი-დიდი ტყეებით. რესტორანი თითქოის მუზეუმია ღია ცისქვეშ-ვაზებ შემოხვეული ხეები, ურემი, ქვევრები და უამრავი სიძველე ამ დიდი კუთხისა. ინტერიერი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია-ბუხარი, ფიროსმანის ნახატი და უმალ გამახსენდა „თასით ღვინო და ალალი მეგობრები, რას ინატრებს კაცი ამის უკეთესს". აქ რა დონის სტუმარიც არ მოიყვანო - განცვიფრებას ვერ დამალავს, ტრადიციული და ოჯახური კერძები ხომ პროფესიონალების მომზადებულია, აქ გატარებული დრო დაუვიწყარია.

ერთხელ მაინც ეწვიეთ აქაურობას. გაიხალისეთ და გაიხანგრძლივეთ ცხოვრების დღეები, ეს არის ძველის და ახალის თანაარსებობის ოაზისი.

მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი

თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.

თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი ***რევაზ ჭანტურია.***

ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)

განცხადება:

ქირავდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი. მის:იერუსალიმის №4 ტელ: 551 499 555

ნომრის სპონსორია შპს „ტოტალ +" - ის გენერალური დირექტორი ბატონი ნუგზარ ბარამია,რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. „ირიდაში"

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა